BOLT ბალანსის წესები და პირობები

ძალაში შედის (21.07.2022)

ეს წესები და პირობები („**ტერმინები**“) განსაზღვრავს თქვენს მიერ Bolt ბალანსის ფუნქციის გამოყენებას Bolt-ის აპლიკაციაში. ეს წესები ძალაში შევა თქვენს მიერ Bolt-ის აპლიკაციაში Bolt ბალანსის ნებისმიერ დროს გამოყენებისთანავე. აღნიშულ წესებში, ტერმინი „**ჩვენ**“ ან “**Bolt**” ნიშნავს Bolt აპლიკაციის მფლობელს, Bolt Operations OÜ, კერძო შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე კომპანიას, რომელიც დაარსდა ესტონეთის რესპუბლიკაში (კომპანიის რეგისტრაციის ნომერი 14532901), რომლის საქმიანობის ადგილიც არის ვანა-ლოუნა 15, ტალინი 10134, ესტონეთი.

1. ფუნქციები და ხელმისაწვდომობა

1.1. Bolt ბალანსი არის Bolt-ის აპლიკაციაში არსებული ფუნქცია, რომელიც შემდეგ მახასიათებლებს მოიცავს:

1.1.1. Bolt ბალანსი აფიქსირებს დავალიანებაში არსებულ თანხას, რომელიც თქვენ მიერ Bolt-ის აპლიკაციის გამოყენების, ან მასში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისის შესყიდვების შედეგად დაგიგროვდათ, ისეთ შემთხვევებშიც, როგორებიცაა:

(a) ჩვენ ვერ შევძელით Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლის ან სერვისის შეძენისთვის საჭირო თანხის ჩამოჭრა (მაგალითად ბარათით გადახდის წარუმატებელი მცდელობის დროს, მათ შორის, როდესაც Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისის შეძენის ღირებულება არ იყო ცნობილი მათი შეძენის პროცესში და თქვენს ბარათზე არსებული თანხის ოდენობა არასაკმარისი აღმოჩნდა); ან

(b) თქვენ დაგეკისრათ რაიმე ტიპის ჯარიმა ან დამატებითი გადასახადი Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებით შეძენილი საქონლისა და სერვისის გამოყენების შედეგად (მაგალითად, თქვენს მიერ დაზიანებული Bolt-ის ნებისმიერი ავტომობილის შემთხვევაში);

(c) თქვენ გიფიქსირდებათ რომელიმე სხვა ანგარიშსწორების საშუალება Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებისას;

1.1.2. Bolt ბალანსი აფიქსირებს თანხის ოდენობას, რომელიც გამოიყენეთ იმ საქონლისა და სერვისების შესაძენად, რომელიც ხელმისაწვდომია Bolt-ის აპლიკაციაში მე-4 დებულების თანახმად – სადაც აღნიშნული თანხა შესაძლოა იყოს ხელმისაწვდომი თქვენთვის, რადგან:

(a) თქვენ ჩამოგეჭრათ ზედმეტი თანხა Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებით ნებისმიერი საქონლისა და სერვისის მოხმარებისას, შესაბამისად, თქვენ დაგიბრუნდათ თქვენ მიერ ზედმეტად გადახდილი ოდენობა მისი Bolt ბალანსზე განთავსების გზით;

(b) მიიღეთ უარყოფითი გამოცდილება Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებისას და აღნიშნული თანხა თქვენთვის კომპენსაციის სახით ხელმისაწვდომი გახდა ამ გზით;

(c) მითითებული ოდენობა თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდა კონკრეტული კამპანიის ფარგლებში ან უბრალოდ ჩვენი სურვილიდან გამომდინარე;

(d) თქვენ ისარგებლეთ ბალანსის შევსების ფუნქციით მე-2 დებულების თანახმად;

1.1.3. Bolt ბალანსის გამოყენება შესაძლებელია Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისის შესაძენად, ისევე როგორც მოცემულია მე-4 დებულებაში.

1.2. გამომდინარე იქიდან, თუ რომელ ქვეყანაში იყენებთ Bolt ბალანსს:

1.2.1. Bolt ბალანსი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს თქვენთვის ყველა შესაძლო ფუნქციით, რომელიც მოცემულია 1.1 დებულებაში, მათ შორის, ბალანსის შევსების ფუნქციით;

1.2.2. Bolt ბალანსი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს თქვენთვის ყველა შესაძლო ფუნქციით, რომელიც მოცემულია 1.1 დებულებაში, ბალანსის შევსების ფუნქციის გარდა;

1.2.3. Bolt ბალანსი შესაძლოა თქვენთვის საერთოდ არ იყოს ხელმისაწვდომი.

1.3. მე-4 დებულების თანახმად, თქვენს Bolt ბალანსზე მოცემული ნებისმიერი თანხის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისის შესაძენად.

1.4. **თქვენ არ გაქვთ უფლება მოითხოვოთ, რომ თქვენს Bolt ბალანსზე არსებული ნებისმიერი თანხა, მათ შორის ის თანხა, რომელიც თქვენ გადმოგვირიცხეთ მე-2 დებულებაში აღწერილი ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენებით, დაგიბრუნდეთ, გამოისყიდოთ ნაღდი ანგარიშსწორებით ან ხელმისაწვდომი გახდეს თქვენთვის Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისების შესაძენად სხვა რომელიმე მეთოდით, გარდა მე-4 დებულებაში აღწერილი მეთოდებისა.**

1.5. **თქვენ არ გაქვთ უფლება მოითხოვოთ, რომ თქვენს Bolt ბალანსზე არსებული თანხა, მათ შორის ის თანხა, რომელიც ჩვენ გადავრიცხეთ მე-2 დებულებაში აღწერილი ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენებით, გადაეცემა მესამე პირს ან გახდება ხელმისაწვდომი რომელიმე მესამე პირისთვის მე-4 დებულებაში აღწერილი Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისის შეძენისგან განსხვავებული ნებისმიერი სხვა გზით.**

1.6. **თქვენს Bolt-ის ბალანსზე არსებული თანხა, მათ შორის ის თანხა, რომელიც თქვენ გადმოგვირიცხეთ მე-2 დებულებაში აღწერილი ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენებით, არ ჩაითვლება ელექტრონულ ფულად, დეპოზიტად ან სხვა ტიპის სახსრებად, რომელსაც ჩვენ ვინახავთ თქვენი სახელით.**

1.7. იმ შემთხვევაში, თუ Bolt ბალანსზე რომელიმე ვალუტაში ხელმისაწვდომი გაქვთ თანხა, ეს თანხა შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი Bolt ბალანსზე სხვა ქვეყანაში მოხმარებისთვის, სადაც აღნიშნული ვალუტა არ არის ოფიციალური.

1.8. Bolt ბალანსის გამოყენება შეუძლებელია Bolt ბიზნესით.

1.9. გაითვალისწინეთ, რომ Bolt ბალანსი ოპერირებს Bolt Operations OÜ-ის მიერ, თუმცა Bolt-ის აპლიკაციაში არსებული ყველა პროდუქტი და სერვისი არ იმართება Bolt Operations OÜ-ის მიერ. Bolt Operations OÜ არ უნდა იყოს პასუხისმგებელი Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომ ნებისმიერ საქონლსა თუ სერვისზე აღნიშნული პირობების მიხედვით.

2. **ბალანსის შევსების ფუნქცია**

2.1. "**ბალანსის შევსების ფუნქცია**" გაძლევთ შესაძლებლობას, რომ აწარმოოთ ჩვენთან ანგარიშსწორება Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი ნებისმიერი იმ საგადახდო საშუალებით, სადაც ინახება აღნიშნული თანხა:

2.1.1. პირველ რიგში, დაფარეთ Bolt-ის აპლიკაციის მეშვეობით შეძენილი ნებისმიერი საქონლის ან სერვისის გადასახადი(როგორც მოცემულია 1.1.1 დებულებაში); და

2.1.2. რათა გახადოთ თანხა Bolt-ის აპლიკაციაში მოცემული საქონლისა და სერვისების მომავალი შენაძენებისთვის ხელმისაწვდომი (როგორცაა აღწერილი მე-4 დებულებაში).

2.2. თქვენ შეგიძლიათ ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენება Bolt-ის აპლიკაციაში ბალანსის შევსების ფუნქციისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი გადახდის მეთოდით.

2.3. გადახდის მეთოდები, რომლებიც ხელმისაწვდომია Bolt-ის აპლიკაციაში ბალანსის შევსების ფუნქციისთვის, შესაძლოა ითვალისწინებდეს ყველა იმ გადახდის მეთოდს, რომლებიც ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებით შესყიდვების განსახორციელებლად ან სხვა.

2.4. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე დავამატოთ ან წავშალოთ გადახდის მეთოდი, რომელიც ხელმისაწვდომია ბალანსის შევსების ფუნქციისთვის Bolt-ის აპლიკაციაში.

2.5. ჩვენ შესაძლოა დავაწესოთ შეზღუდვები ბალანსის შევსების ფუნქციაზე, მათ შორის, ლიმიტები, როგორებიცაა:

2.5.1. მაქსიმალური თანხის ლიმიტი, რომლის გადარიცხვა შესაძლებელია ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენებით ერთი ტრანზაქციის მეშვეობით;

2.5.2. მაქსიმალური თანხის ლიმიტი, რომელიც შესაძლოა ჩაირიცხოს ჩვენთან ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენებით კონკრეტულ პერიოდში (მაგალითად 12 თვეში);

2.5.3. მაქსიმალური თანხის ლიმიტი, რომელიც შესაძლოა გამოჩნდეს Bolt ბალანსზე ნებისმიერ დროს.

2.6. ბალანსის შევსების ფუნქციას იყენებთ თუ წინასწარ რიცხავთ თანხას Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისების მომავალში შეძენისთვის.

2.7. ჩვენთან გადარიცხული თანხები ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენებით არ ექვემდებარება არანაირ განაღდების წესს, მათ შორის, მომხმარებლის მიერ განაღდების უფლებას, როგორიცაა შესყიდვები, რომლებსაც ახორციელებთ თქვენს Bolt ბალანსზე არსებული თანხების გამოყენებით, შესაძლოა დაექვემდებაროს თანხის განაღდების უფლებებს შესაბამისი საქონლისა და მომსახურების გაყიდვისთვის მოქმედი პირობების შესაბამისად.

3. ბალანსის ავტომატურად შევსების ფუნქცია

3.1. Bolt-ის აპლიკაციაში შესაძლებელია ბალანსის შევსების ფუნქციის ავტომატურად განხორციელებაც (**„ბალანსის ავტომატურად შევსების ფუნქცია**”), მათ შორის:

3.1.1. გარკვეული პერიოდის შემდეგ (მაგალითად, ერთ თვეში); ან

3.1.2. ყოველ ჯერზე როცა თქვენს Bolt ბალანსზე ხელმისაწვდომი თანხა ჩამოცდება მინიმალურ ზღვარს.

3.2. ბალანსის შევსების ფუნქციის გამოყენებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ:

3.2.1. თქვენს მიერ ბალანსის შევსების ფუნქციისთვის არჩეული გადახდის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ბალანსის ავტომატურად შევსების ფუნქციისთვისაც (მაგალითად, ბარათს არ გასვლია მოქმედების ვადა);

3.2.2. თქვენ გააუქმეთ ბალანსის ავტომატურად შევსების ფუნქცია ჩვენთვის განსაზღვრულზე მეტი თანხის გადარიცხვის თავიდან ასაცილებლად (იხილეთ დანართი 1.3).

4. Bolt ბალანსის გადახდის მეთოდად გამოყენება

4.1. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ Bolt ბალანსზე ხელმისაწვდომი თანხა Bolt-ის აპლიკაციაში არსებული საქონლისა და სერვისის გამოსაყენებლად.

4.2. საქონელი და სერვისი, რომლის გამოყენებაც არის შესაძლებელი Bolt ბალანსის გადასახედად შესაძლოა ჩაითვალოს მხოლოდ იმ საქონლად და სერვისად, რომელიც ხელმისაწვდომია Bolt-ის აპლიკაციაში და სხვა.

4.3. ჩვენ ვიტოვებთ უფლებამოსილებას დავამატოთ ან წავშალოთ საქონელი და სერვისები, რომელთა ყიდვაც შესაძლებელია Bolt-ის ბალანსით ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზით.

4.4. ჩვენ შესაძლოა დავაწესოთ Bolt ბალანსის გამოყენების ლიმიტი, მათ შორის ლიმიტი, როგორიცაა:

4.4.1. მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს Bolt ბალანსის გამოყენებით ერთი ტრანზაქციის მეშვეობით;

4.4.2. მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს Bolt ბალანსის გამოყენებით გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, ერთ დღეში ან თვეში).

4.5. როდესაც იყენებთ Bolt ბალანსს, როგორც გადახდის მეთოდს, თქვენ ხარჯავთ თანხას, რომელიც ჩვენ გავხადეთ ხელმისაწვდომი თქვენთვის Bolt-ის აპლიკაციაში ან თანხა, რომელიც გაქვთ გამოყოფილი Bolt-ის აპლიკაციაში არსებული საქონლისა და სერვისების სამომავლო შენაძენების განსახორციელებლად შევსების ფუნქციის გამოყენებით. ისეთი შესყიდვები, რომლებიც განხორციელდა Bolt ბალანსის გამოყენებით არ უნდა ჩაითვალოს ელექტრონული ფულის ან ნებისმიერ სხვა ტრანსფერად, რომელიც თქვენს ნაცვლად შეიძლება განგვეხორციელებინა.

5. დებიტი Bolt ბალანსზე

5.1. იმ შემთხვევაში თუ გაქვთ თანხა Bolt ბალანსზე, ჩვენ შეგვიძლია იმ ოდენობის თანხა ჩამოგაჭრათ Bolt ბალანსიდან, რამდენიც გაქვთ დავალიანებაში Bolt-ის აპლიკაციაში ხელმისაწვდომი საქონლისა და სერვისის გამოყენებისთვის, მათ შორის, ისეთი შემთხვევებისა, რომლებიც მოცემულია 1.1.1 დებულებაში, იმ შემთხვევაშიც თუ მუდმივ გადახდის მეთოდად არ მიგითითებიათ Bolt ბალანსი.

5.2. იმ შემთხვევაში თუ არ გაქვთ Bolt-ის აპლიკაციის გამოყენების ან მასში ხელმისაწვდომი საქონლის ან სერვისის შეძენისას დაგროვილი დავალიანების შესაბამისი თანხა Bolt ბალანსზე, თქვენი Bolt ბალანსიდან და Bolt-ის აპლიკაციაში დამატებული ნებისმიერი სხვა გადახდის საშუალებიდან ჩამოიჭრება მასზე არსებული თანხა.

6. KYC, AML, CTF, FRAUD

6.1. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვეკისრება ან უნდა დავექვემდებაროთ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან, საერთაშორისო სანქციების დარღვევასთან, მაშინ, ჩვენი მოთხოვნით, თქვენ ვალდებული იქნებით წარმოგვიდგინოთ ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი, რომელიც საჭიროა ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად და იმისთვის, რომ მოვიშოროთ ნებისმიერი ეჭვი, რომელიც შეიძლება გვქონდეს თქვენი Bolt ბალანსის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოიყენება ფულის გათეთრებისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის ან საერთაშორისო სანქციების დარღვევისთვის.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დავეჭვდებით, რომ Bolt ბალანსის გამოყენება ხდება ფროდის ან ნებისმიერი სხვა საეჭვო ქმედებისთვის, არაავტორიზებული მესამე პირის მიერ, თქვენ მოგეთხოვებათ ნებისმიერი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ჩვენთვის წარდგენა, რომელიც საჭიროა ყველა ამ ეჭვის აღმოსაფხვრელად.

6.3. ჩვენ გვაქვს უფლება გავაუქმოთ თქვენი Bolt ბალანსი და ნებისმიერი შესყიდვა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო Bolt ბალანსით თითოეულ ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში:

6.3.1. ჩვენ ვეჭვობთ, რომ თქვენი Bolt ბალანსი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფულის გათეთრებისთვის, ტერორიზმის დაფინანსებისთვის, საერთაშორისო სანქციების დარღვევისთვის, ფროდის ან ნებისმიერი არალეგალური ქმედებებისთვის;

6.3.2. ჩვენ ვეჭვობთ, რომ არაავტორიზირებული მესამე პირი შესაძლოა იყენებდეს თქვენს Bolt ბალანსს;

6.3.3. ჩვენ ვეჭვობთ, რომ თქვენ მოგვაწოდეთ არასწორი ან არასათანადო ინფორმაცია ან დოკუმენტაცია, რომელიც მოვითხოვეთ მე-6 დებულებაში;

6.3.4. ჩვენ ამის გაკეთებას გვავალდებულებს შესაბამისი კანონმდებლობა ან ნებისმიერი სხვა საჯარო ავტორიტეტის ბრძანება;

6.3.5. ნებისმიერი ჩვენი საგადასახადო სერვისის მომწოდებელი, ნებისმიერი ოპერატორი ან ჩვენი კოოპერაციის პარტნიორი მოითხოვს Bolt ბალანსის გამოყენების შეწყვეტას (ყველგან, რომელიმე კონკრეტულ რეგიონში, კონკრეტული რაოდენობით, კონკრეტული ადამიანისთვის ან ადამიანთა ჯგუფისთვის და სხვა) ან გვაუწყებს, რომ Bolt ბალანსის მიწოდება არღვევს ნებისმიერ შეთანხმებას ან წესს, რომელთა შესრულებაც ჩვენი ვალდებულებაა.

7. კომუნიკაცია

აღნიშნული პირობების მოქმედი ვერსია ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი ჩვენს ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე. ჩვენ ასევე შესაძლოა ვთარგმნოთ ათღნიშნული წესები სხვა ენებზეც, თუმცა არ ვიღებთ აღნიშნულს ჩვენი პასუხისმგებლობის ქვეშ. მითითებულ წესებთან და წესების ქვეშ არსებულ სერვისებთან დაკავშირებული კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ინგლისურად, იმ შემთხვევაში თუ სხვა ენაზე არ არის ნათარგმნი. აღნიშნულ წესებთან და პირობებთან ან მათ დაქვემდებარებაში არსსებულ სერვისებთან დაკავშირებული კითხვების, თხოვნების ან შენიშვნის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ კონკრეტული საკითხებისთვის გათვლილი არხის მეშვეობით Bolt-ის აპლიკაციაში, ვებგვერდის. ჩვენ შესაძლოა დაგიკავშირდეთ აღნიშნულ სერვისებთან დაკავშირებით Bolt-ის აპლიკაციის ან ნებისმიერ იმ საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც მოგვაწოდეთ.

8. წესები

თუ Bolt ბალანსი ხელმისაწვდომია თქვენს ქვეყანაში, მაშინ Bolt ბალანსი ასევე მისი შემადგენელი ნაწილია თქბვენს ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული წესები შეგეხებათ Bolt-ის აპლიკაციის გამოყენებისთანავე და იქნება ვალიდური თქვენს მიერ Bolt ბალანსის ან Bolt-ის აპლიკაციის გაუქმებამდე.

9. გაუქმება

ჩვენ შესაძლოა ცალმხრივად გავაუქმოთ თქვენს მიერ Bolt ბალანსის გამოყენება 1 ტვით ადრე წინასწარ გაფრთხილებასთან ერთად ელ.ფოსტის, აპლიკაციის შეტყობინების ან სხვა მეთოდის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ნებისმიერი იმ თანხის უკან დაბრუნება, რომელიც ბალანსის შევსების ფუნქციით გადარიცხეთ Bolt

ბალანსზე. თქვენ არ გაქვთ უფლება უარი თქვათ აღნიშნულ წესებზე ან Bolt ბალანსის გამოყენებაზე.

10. ცვლილებები

ჩვენ შესაძლოა ნებისმიერ დროს ცალმხრივად შევიტანოთ ცვლილებები აღნიშნულ წესებში. თქვენ მიიღებთ ინფორმაციას წესების ცვლილების შესახებ ელ.ფოსტის, აპლიკაციის შეტყობინების ან სხვა მეთოდის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თქვენს უფლებებზე ამ ცვლილებებს არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

11. სახელმწიფო კანონი

ეს პირობები რეგულირდება, განიმარტება და აღსრულდება ესტონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დავების გადაწყვეტა

თუ ამ პირობებიდან გამომდინარე დავა ვერ გადაწყდება მოლაპარაკებებით, მაშინ დავა გადაწყდება ჰარიუს საოლქო სასამართლოს მიერ (ესტონურად: Harju Maakohus) ტალინში, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო.

13. მომხმარებელთა დაცვის დებულებები

იმ ქვეყანაში მოქმედი კანონების შესაბამისად, სადაც თქვენ გაქვთ თქვენი ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, მომხმარებელთა დაცვის სავალდებულო დებულებებმა შესაძლოა უარყოს ესტონეთის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები, დავა შესაძლოა გადაწყდეს სხვა სასამართლოებში, გარდა ჰარიუს საოლქო სასამართლოსა და შეგიძლიათ მიმართოთ მომხმარებელთა დაცვის ორგანოს. თქვენ არ გაქვთ უფლება უარი თქვათ ამ პირობებზე ან Bolt ბალანსის გამოყენებაზე.

14. დასკვნითი დებულებები

თუ ამ პირობების რომელიმე დებულება ითვლება ბათილად ან არააღსრულებად, მაშინ ჩვენ გვექნება უფლება ცალმხრივად შევცვალოთ ეს პირობები იმ დებულების ჩანაცვლებით, რომელიც ითვლება ბათილად ან აღსასრულებლად მოქმედი და აღსასრულებელი დებულებით, რამდენადაც შესაძლებელია, რათა შესწორებული დებულების ეფექტი იგივე იყოს, რაც საწყისი დებულების ეფექტი. ჩვენ შეგვიძლია გადავიტანოთ ჩვენი უფლებები და მოვალეობები ამ პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი მესამე მხარისთვის თქვენი თანხმობის გარეშე.